ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №117

2021 წ. 23 ივლისი. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

10:30 სთ

(სხვა კომისებთან გაერთიანებული)

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე, მარიამ კვერნაძე.

საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე, მაია გძელიძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები:ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვაჟა ოთარაშვილი, ვახტანგ შაქარიშვილი.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარემ კომიიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგის პირველ საკითხს განიხილავს ყველა კომისია, ხოლო დანარჩენი საკითხების განხილვას განაგრძობს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიები.

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

2. .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. 11-01211972204(15-032119748-03)

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილისერვის ჯგუფი“-ს შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე თანხმობის მიცემის თაობაზე(12-032118879-03)

4. ქალაქ თბილისში, ვარკეთილი II მ/რ, კორპუსი N10-ის მიმდებარედ არსებული 1053 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.20.002.115) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ(12-0321183109-03)

5. ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (ნაკვეთი 95/020, საკადასტრო კოდი: №01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე(12-0321183110-03)

6. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N86ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.027.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(12-0321183107-03)

7. ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N2-ში და კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.09.001.002 და N01.16.09.001.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე(12-03211865-03)

8. ქალაქ თბილისში, ჯავახეთის I შესახვევში, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.36.009.002.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ". 12-032119084-03

9. ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.072.01.566 და N01.11.05.029.072.01.567) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. 12-032119084-03

10. ქალაქ თბილისში, ულიანოვის I შესახვევი N66-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.03.024.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე12-032119084-03

11. ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის მე-2 ჩიხი N3-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.01.005.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. 12-032119084-03

12. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ". 12-032119380-03

13. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.1276) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე". 12-03211938-03

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის V ჩიხი, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.065.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "12-032119696-03

15. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, იუნკერთა ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.492.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

11-032104361;12-03211682-03;12-03212022-03

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლება, ზონა IV, N10; ქალაქ თბილისში, თოფურიძის ქუჩა N35-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ნაკვეთი 01/169); ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლება, კორპუსი 10ბ-ს მიმდებარედ არსებული 1391 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.11.001.337) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე12-032116952-03

17. ქ. თბილისში, 26 მაისის N2-ის მიმდებარედ 57 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.17.036.046) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016"-ისთვის (ს/ნ: 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე12-032118638-03

18. ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.03.035.570) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბი ჯი ბი გრუფისთვის" (ს/კ: 404607314) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. 12-03211933-03

19. ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - ქართული საბრძოლო ხელოვნების

ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/ნ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. 12-032119075-03

20. ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N31-ის მიმდებარედ 34 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.12.041.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბრაუჰაუს ტიფლისისთვის " (ს/კ: 405404771) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. 12-03211933-03
21. „ქ.თბილისში, ვაკის პარკის მიერ დაკავებული 343887 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.14.10.002.084) 284 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე". 12-032118957-03

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

მოხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მისაღები შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება შემოსავლების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადი - 42 450,1 ათასი ლარით (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 9 ივლისის N04-03/87474 წერილის საფუძველზე, განახლებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების გათვალისწინებით დღგ-ს საპროგნოზო მოცულობის ზრდა), სხვა შემოსავლების ნაწილში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 6 000,0 ათასი ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან) - 10,000.0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - 1 000,0 ათასი ლარის ოდენობით. საგადასახადო შემოსავლების ზრდის პარალელურად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 9 ივლისის N04-03/87474 წერილის საფუძველზე, მცირდება გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) - 25 000,0 ათასი ლარით (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის N632 განკარგულებით, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით) და განისაზღვრება 5 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 34 450,1 ათასი ლარით და შეადგენს 1 226 976,9 ათას ლარს.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:
გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) ქვეპროგრამის ასიგნება – 200,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 350,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 200,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 1 000,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 6 000,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 8,503.5 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-

რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება – 3 500,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 5 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის ასიგნება – 422,2 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 170,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 400,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 690,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 850,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 700,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნება - 1 022,2 ათასი ლარით, 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი 02 11) – 100,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 865,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 3 000,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნება – 500,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) – 100,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 300,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) – 100,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 300,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) – 400,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) – 100,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) – 200,0 ათასი ლარი, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 390,0 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06
01 06) – 258,4 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 260,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 438,3 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) – 500,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) – 15,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 08 08) – 200,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 308,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 269,3 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 149,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 82,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 100,0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 3 000,0 ათასი ლარი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) – 25,0 ათასი ლარი, სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) – 42,8 ათასი ლარი, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 70,0 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნება - 445,0 ათასი ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) ქვეპროგრამის ასიგნება – 200,0 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 300,0 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) პროგრამის ასიგნება – 150,0 ათასი ლარი, მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 2 910,0 ათასი ლარით,

გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) – 422,2 ათასი ლარით, გზების მოვლაშეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 232,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 190,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) – 470,0 ათასი ლარით, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებების (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) – 190,0 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) - 1 052,3 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნება - 358,4 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) – 210,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) – 5,0 ათასი ლარი, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 35,0 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) პროგრამის ასიგნება - 28,0 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 14 09) ქვეპროგრამის ასიგნება – 84,3 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება ისნის რაიონში (კოდი 06 02 14 12) – 49,2 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება სამგორის რაიონში (კოდი 06 02 14 13) – 82,1 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) – 11,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 17 09) – 5,2 ათასი ლარი, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 02 01) – 50,0 ათასი ლარი, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) – 50,0 ათასი ლარი, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნება - 482,8 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშენებლობა (კოდი 06 08 04) ქვეპროგრამის ასიგნება – 500,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 60,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) პროგრამის ასიგნება - 500,0 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) – 48,6 ათასი ლარით, გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის N632 განკარგულების საფუძველზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით გამოყოფილი ასიგნების 25 000,0 ათასი ლარით შემცირების გათვალისწინებით, წარმოდგენილ პროექტში ასახულია ასიგნებების დაზუსტებები (ღონისძიებები ნაცვლად კაპიტალური სპეციალური ტრანსფერისა დაფინანსდება საბიუჯეტო სახსრებიდან) შემდეგ პროგრამებში/ქვეპროგრამებში: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 5 000,0 ათასი ლარი, საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) – 7 400,0 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) – 1 891,4 ათასი ლარი, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 3 000,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 1 600,0 ათასი ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 1 000,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 5 108,6 ათასი ლარი.
ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი-მაია გძელიძე

შესათანხმებლად წარმოდგენილია რაიონული გამგეობების , ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოთხოვნილი ასიგნებების ცვლილება მათთვის მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში.

კერძოდ: ისნის რიონის გამგეობა, პროგრამის: „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები", მესამე კვარტალში ითხოვს 150 000 ლარის დამატებას. აღნიშნული გამოწვეულია გამგეობაში შემოსული განცხადებებისა და მათ საფუძველზე ბრძანებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.

კრწანისის რაიონის გამგეობის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, პროგრამაში: „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები" მესამე კვარტალში ითხოვს 100 000 ლარის დამატებას, პროგრამიდან: „კეთილმოწყობის ღონისძიებები"- შესაბამისი თანხების გადმოტანით.

მაია გძელიძის განმარტებით, გამგეობის წერილობითი მოთხოვნიდან ჩანს, რომ ზემო ფონიჭალაში სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო მესამე კვარტალში. გამომდინარე იქედან, რომ პროექტში შევიდა ცვლილებები, ანაზღაურება მოხდება მეოთხე კვარტალში. ხოლო „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები"ს პროგრამაში, კლინიკებიდან და აფთიაქებიდან შემოსული შესრულებული სამუშაოების დასაფაინანსებლად, მესამე კვარტლაში თანხები საკმარისი არ არის.

გლდანის რაიონის გამგეობა, რაიონის მოსახლეობისათვის გეგმავს მიმდინარე კვარტალში ჩაატაროს რიგი სპორტული და კულტურულ-გასართობი ღონისძიებები, რისთვისაც ითხოვს შესაბამისი პროგრამის მესამე კვარტლის გეგმის გაზრდას 50 000 ლარით. გამეობის წერილობითი მოთხოვნით, იზრდება ასევე „წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება" პროგრამის მესამე კვარტლის ასიგნება 2500 ლარით, ხოლო გამგეობის თანხები (10 27) 4500 ლარით. აღნიშნავენ რომ გამგეობის ადმინისტრაციული შენობის დაშვებისა და აღრიცხვის სისტემა არის დაზიანებული და ხორციელდება ამ სისტემის შესყიდვა-მონტაჟი.

ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, ქალაქის მასშტაბით საყრდენი კედლების მშენებლობის სამუშაოების დასაფინანსებლად, ითხოვს პროგრამაში: „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და არდგენა-რეკონსტრუქცია" 1 046 350 ლარის დამატებას, „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებების"- პროგრამის ასიგნებების შესაბამისად შემცირების ხარჯზე.

ასევე წარმოდგენილია სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილება „სპორტული ღონისძიებების" პროგრამაში. პროგრამის მესამე კვარტლის ასიგნება იზრდება 350 000 ლარით, სხვადასხვა ტურნირში თბილისის გუნდების მონაწილეობისათვის.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფტრასტრუქტურის განვითარების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები, ასევე რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა **გადაწყვიტეს**:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-

ის me-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილისერვის ჯგუფი"-ს შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი-გიგა გიგაშვილი.

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2018 წლის 27 ნოემბერს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი"სათვის 15 000 000 ევროზე. შემდეგ ხელი მოეწერა ქვესასესხო ხელშეკრულებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, თბილისის მუნიციპალიტესა და და შპს თბილსერვის ჯგუფს" შორის . პროექტი ითვალისწინებდა „თბილსერვის ჯგუფის" მატერიალური ბაზის განახლებას, გადამტვირთავი სადგურისა და ლილოს ნაგავსაყრელის მოდერნიზებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კვლევებით დადგინდა, რომ ლილოს ნაგავსაყრელის სრულად მოდერნიზებისათვის გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი და საჭიროა სესხის გაზრდა 18 030 000 ევროს ოდენობით. ასევე ხდება დასრულების ვადების გადაწევა 2023 წლის 1 დეკემბრამდე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილი II მ/რ, კორპუსი N10-ის მიმდებარედ არსებული 1053 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.20.002.115) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

თანხმობისათვის წარმოდგენილია „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი II მ/რ, კორპუსი N10-ის მიმდებარედ არსებული 1053 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.20.002.115) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით გადაცემა შემდგომში ეკლესიის მშენებლობის ვალდებულებით.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (ნაკვეთი 95/020, საკადასტრო კოდი: №01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (ნაკვეთი 95/020, საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 5 პირს, (5 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები. კერძოდ: გიორგი მწითური დაკავებული ფართი - 23.47 კვ.მ; ვასილი კარიბიანი დაკავებული ფართი - 20.54 კვ.მ; თენგიზ კენჭოშვილი - დაკავებული ფართი - 41.81 კვ.მ; მიხეილ გიგილაშვილი დაკავებული ფართი – 23.00 კვ.მ; თამარი გვრიტიშვილი დაკავებული ფართი - 19.66 კვ.მ. აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 128.48 კვ.მ. ფართი. შსს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული ბმა „ლოტკინის ალიონის" კრების ოქმით დგინდება, რომ გიორგი მწითური, ვასილი კარაბიანი, მიხეილ გიგილაშვილი, თენგიზ კენჭოშვილი 2011 წლიდან, თამარი გვრიტიშვილი - 2002 წლიდან, ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N86ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.027.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N86ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.027.002) მდებარე უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა ორ ოჯახს.ნინო გვრიტიშვილს 46,85 კვმფართი, ხოლო ნანული გვრიტიშვილს 46,85 კვმ ფართი. ეს ოჯახები 1969-1977 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ ფართებში.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N2-ში და კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.09.001.002 და N01.16.09.001.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N2-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.002 და N01.16.09.001.003) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 3 პირს, (3 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები. კერძოდ: როსტომ ძაგანაშვილი - დაკავებული ფართი - 56.26 კვ.მ, ელენე მასალაევი დაკავებული ფართი - 58.72 კვ.მ; გოჩა ლომთათიძე დაკავებული ფართი - 42.49 კვ.მ . აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 157.47 კვ.მ.წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ როსტომ ძაგანშვილი - 1993 წლიდან, ელენე მასალაევი - 2003 წლიდან, და გოჩა ლომთათიძე 2000 წლიდან ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში, ჯავახეთის I შესახვევში, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.36.009.002.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისში, ჯავახეთის I შესახვევში, კორპუსი N3-ში პირველს სართულზე მდებარე 55.72 კვ.მ ბინა N4-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.36.009.002.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე იმედა ნატროშვილს. მოქალაქე 29 წელია რაც ცხოვრობს აღნიშნულ ფართში.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.072.01.566 და N01.11.05.029.072.01.567) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.072.01.566 და N01.11.05.029.072.01.567) მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა 2 ოჯახს, საერთო ჯამში 29,6 კვმ საცხოვრებელი ფართი. ეს ოჯახები 1991 -1996 წლიდან სარგებლობენ აღნინული ფართებით.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ულიანოვის I შესახვევი N66-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.03.024.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისში, ულიანოვის I შესახვევი N66-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.03.024.004) მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში 286,61 კვმ სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცენა 5 ოჯახს, რომლებიც 2000-2002 წლიდან ცხოვრობენ არნიშნულ მისამართზე.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის მე-2 ჩიხი N3-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.01.005.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის მე-2 ჩიხი N3-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.01.005.014) მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში 128,34 კვმ , პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებით გადაეცემა 4 ოჯახს, რომლებიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ აღნიშნულ ფართბში.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008) მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში 39,61კვმ საცხოვრებელი ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა ორ ოჯახს, რომლებიც 2000 წლიდან ცხოვრობენ არნიშნულ მისამართზე.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.1276) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ, მე-3 სართულზე, მდებარე 13.26 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.1276) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ქეთევან მამულაშვილს , რომელიც 1997 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ ფართში.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის V ჩიხი, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.065.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის V ჩიხი, N7-ში მე-2 სართულზე მდებარე 74.22 კვ.მ ბინა N4-ი (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.065.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა ზაზა გორძამაშვილს , რომელიც 1992 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. საჯარო რეესტრის მონაცემით მას სხვა ალტერნატიული ქონება არ უფიქსირდება.
მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, იუნკერთა ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.492.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, იუნკერთა ქუჩა N9-ში, პირველ სართულზე მდებარე 40.62 კვ.მ, უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N81.01.06.492.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ქეთევან ნიკლაურს, რომელიც 50 წელია ცხოვრობს და სარგებლობს აღნიშნული ფართით.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლება, ზონა IV, N10; ქალაქ თბილისში, თოფურიძის ქუჩა N35-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ნაკვეთი 01/169); ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლება, კორპუსი 10ბ-ს მიმდებარედ არსებული 1391 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.11.001.337) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ნაკვეთი 01/169); ხოლო კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მდებარეობაა- დასახლება ვაშლიჯვარი, კორპუსი 10ბ-ს მიმდებარედ არსებული 1391 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.10.11.001.337). მიწის ნაკვეთების გაცვლის საფუძველია ის გარემოება, რომ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება არ შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესებს და მომიჯნავე ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა საცხოვრებელ გარემოს.

მარიამ კვერნაძის განმარტებით საპრივატიზებო საფასურია 71 000 ლარი, მიწის ნაკვეთების ფასთა შორის სხვაობა.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, 26 მაისის N2-ის მიმდებარედ 57 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.17.036.046) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016"-ისთვის (ს/ნ: 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

შპს „ფასანაური 2016"-ს (ს/ნ: 405141029) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, ქ. თბილისში, 26 მაისის მოედანი N2-ის მიმდებარედ 57 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.10.17.036.046) ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, 26 მაისის მოედანი N2-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 01.10.17.036.003) 2030 წლის 31 დეკემბრამდე ვადით.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შესაძლებელია ქ. თბილისში, 26 მაისის მოედანი N2-ის მიმდებარედ 57 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.10.17.036.046) ღია კაფეს მოწყობა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, განიხილება ქ. თბილისში, 26 მაისის მოედანი N2-ის მიმდებარედ 57 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.17.036.046) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ფასანაური 2016"-ისთვის (ს/ნ: 405141029) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი 2023 წლის 11 ივნისამდე ვადით, ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 10 260 ლარი.
მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.03.035.570) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბი ჯი ბი გრუფისთვის" (ს/კ: 404607314) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

შპს „ბი ჯი ბი გრუფის" (ს/კ: 404607314) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.03.035.570) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. კომპანიის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N58-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 01.14.03.036.008.01.044) 2022 წლის 21 იანვრამდე ვადით.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსაურის წერილობითი პოზიციით, ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

წარმოდგენილი პროექტიტ განიხილება, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.03.035.570) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ბი ჯი ბი გრუფისთვის" (ს/კ: 404607314) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი 2022 წლის 21 იანვრამდე ვადით, ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 5 400 ლარი.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/ნ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლის (ს/კ: 400013178) პრეზიდენტმა, მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებულ 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 01.11.13.002.096) დაკავშირებით. ფედერაციის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ეს 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ფედერაციის მთავარი საწვრთნელი ცენტრის (ს/კ: 01.11.13.002.039) მიმდებარე ტერიტორიას, რომელიც 2010 წლის 2 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებით, 10 წლის ვადით იყო იჯარით გადაცემული ფედერაციის ერთ-ერთი კლუბისთვის: ა.ა.ი.პ - ხრიდოლის სადროშო იბერიელი მგლებისთვის (ს/ნ: 204551476), რომლის საკუთრებად არის რეგისტრირებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება (ს/კ: 01.11.13.002.039). ასევე უნდა

აღინიშნოს, რომ იჯარით გადაცემული ტერიტორია გამოიყენებოდა სპორტულ ეზოდ, ღია სავარჯიშო და საწვრთნელ მოედნად. ტერიტორიაზე ასევე დაირგო მარადმწვანე ნარგავები. ფედერაციის პრეზიდენტი ითხოვს მიწის ნაკვეთის გადაცემას სიმბოლურ ფასად, ვინაიდან ათწლიანი იჯარა ტვირთად აწვებოდა ორგანიზაციას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის წერილიც. აღსანიშნავია, რომ ფედერაცია დამატებით გეგმავს 5000 ლარის ოდენობის ინვესტიციას ხუთი წლის განმავლობაში, საბრძოლო-საჭიდაო მოედნის მოსაწყობად, სარბენი ბილიკების განსაახლებლად, მარტივი სავარჯიშო ინვენტარის დასამონტაჟებლად. ასევე მწვანე ნარგავების განსაახლებლად და დასამატებლად.
უნდა აღინიშნოს , რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა შეფასდა 3790 ლარით. ამ გარემოების მიუხედავად, ხრიდოლის განვითარებაში ფედერაციისთვის ხელშეწყობის თვალსაზრისით, განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის, 5 წლის ვადით, სიმბოლურ ფასად, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1 ლარის ოდენობით, ინვესტიციის განხორციელების პირობით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა: სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ.

მან აღნიშნა:"წარმოდგენილ განკარგულების პროექტს აქვს თბილისის მთავრობის მხარდაჭერა, ვაფასებთ ფედერაციის მიერ გაწეულ შრომას აღნიშნული სპორტის სახეობის განვითარების მიმართულებით.სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას აქვს სურვილი ადგილზე შევისწავლოთ არსებული სიტუაცია და ვიმსჯელოთ მცირე კორექტირებაზე საინვესტიციო პირობებთან დაკავშირებით.

გამომდინარე აქედან სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის დამატებით შესწავლის მიზნით, რამდენიმე დღით გადაედოთ საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის გადადება მომდევნო კომისიის სხდომისათვის.

მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

გადაწყდა საკითხის განხილვა გადაიდოს კომისიის მომდევნო სხდომისათვის

მოისმინეს: ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N31-ის მიმდებარედ 34 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.12.041.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბრაუჰაუს ტიფლისისთვის " (ს/კ: 405404771) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.
მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

შპს „ბრაუჰაუს ტიფლისს" (ს/კ: 405404771) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N31-ის მიმდებარედ 34 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.10.12.041.032) ღია კაფეს მოწყობის მიზნით. კომპანიის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, კანდელაკის ქუჩა N31-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 01.10.12.041.009.01.500).

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიცია, რომლის თანახმად, ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები. წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, განიხილება „ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N31-ის მიმდებარედ 34 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.12.041.032) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ბრაუჰაუს ტიფლისისთვის " (ს/კ: 405404771) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი 2024 წლის 1 ივნისამდე ვადით, ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 6 120 ლარი.
მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში,ვაკის პარკის მიერ დაკავებული 343887 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.14.10.002.084) 284 კვმ მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე.

მოქალაქე გივი გორდაძეს (პ/ნ: 01010003118) იჯარით გადაეცემა ვაკის პარკის ტერიტორიაზე 284 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, 25 წლის ვადით, გარე სივრცის გაფართოებისთვის. მოქალაქე აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელს შეუწყობს სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებას და შეუფერხებელ მუშაობას.

აღნიშნული პირი, ვაკის პარკის ტერიტორიაზე იჯარით ფლობს მოთხოვნილი ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ 651 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, 2036 წლის 12 იანვრამდე ვადით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 12.01.11წ. N01-4/8 ბრძანების საფუძველზე, საბავშვო ცენტრის მოწყობის მიზნით.
წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა 3 წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი ვადისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 51120 ლარის ოდენობით.
მომხრე- 7. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დავით უთმელიძე